



თარიღი/დრო: ხუთშაბათი, 19 ივლისი, 12:00 საათი  
 ადგილი: სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, დარბაზი #5

## სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს ჩარიცხულ ათ წარჩინებულ სტუდენტს გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდი დააფინანსებს

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, მაგდა მალრამემ, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანმა საქართველოში, ჰალილ გუვენმა და გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის დირექტორმა, ზურაბ კერვალიშვილმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიური (STEM) დარგების პოპულარიზაციას და განვითარებას, ისეთი აქტივობების განხორციელებით, როგორცაა სასწავლო სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის, ყოველწლიური პროფესიული განათლების ჯილდოს, კონფერენციის და პროგრამების მხარდაჭერა და სხვა. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე წელს ჩარიცხულ ათ წარჩინებულ სტუდენტს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან კი გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდი სრული სასწავლო სტიპენდიით დააჯილდოვებს.

„სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთადერთი ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. სწავლის საფასური აშშ-ის სტანდარტებთან დაახლოებულია და ყველა სტუდენტი ვერ ახერხებს მის გადახდას. ამიტომ, ჩვენ შევქმენით ფონდი, რომლის ფარგლებშიც ვაფინანსებთ წარჩინებულ სტუდენტებს და ვაძლევთ სრულს სტიპენდიას“ - აღნიშნა მაგდა მალრამემ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინოვაციური პროექტებიც. დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი წარმატების ისტორია გაუზიარეს და განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს.

კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინიციატივით, შეიქმნა კერძო და საჯარო სექტორთან პარტნიორობის ფონდი (PPPF). აღნიშნული ფონდის ფარგლებში SDSU საქართველო უკვე თანამშრომლობს წამყვან კომპანიებთან და ფონდებთან რათა მოიზიდოს დამატებითი თანხები სტიპენდიებისთვის, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ დარგებში.

**ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს** მისიაა საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვა. ფონდი ახორციელებს პროექტებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC-ის) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 140 მილიონი აშშ დოლარის გრანტის (კომპაქტის) მეშვეობით.

**გუდავამე-პატარკაციშვილის საგანმანათლებლო ფონდი** მიზნად ისახავს საქართველოს განათლების სისტემის განვითარებას განათლების საერთო დონის ამაღლებისა და განათლების ყველასთვის ხელმისაწვდომობის მიზნით. ფონდის პრიორიტეტებია: სასკოლო განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება.

**სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU)** ასწლიანი ისტორიის მქონე ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებელია კალიფორნიის შტატში. აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) ფინანსური მხარდაჭერით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წლიდან, საქართველოში ახორციელებს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში.

#### **ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**

გიორგი კოპალეიშვილი, მთავრობასთან, ბიზნესთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო. [Gkopaleishvili@mcageorgia.ge](mailto:Gkopaleishvili@mcageorgia.ge) 595 29 89 89 | mcageorgia.ge

ელენე ალადაშვილი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი, SDSU საქართველო [ealadashvili@mail.sdsu.edu](mailto:ealadashvili@mail.sdsu.edu) 577 974 004 | sdsu.edu.ge